საქართველო
ხარაგაული

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება N 50 23

22/01/2018

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნისა და კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37 - ე მუხლის პირველი და მე - 2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის #204 დადგენილების „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მე-14 მუხილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატთა შერჩევის მიზნით შეიქმნას საკონკურსო კომისია.

2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, იურიდიული განყოფილების უფროსი ინგა ლურსმანაშვილი.

3. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის #204 დადგენილების „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" მე-15 მუხილის პირველი პუნქტის შესაბამისად დაევალოს განსაზღვროს კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა.

4. კომისიის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის დასრულება.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 180–ე მუხლით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოში (მისამართი დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის ქუჩა #48.

მანანა ბარბაქაძე



საკრებულოს თავმჯდომარე